სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

03 დეკემბერი 2025

N 744/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში შპს „ცისფერი ალი“-ს დაახლოებით 21,2 კილომეტრი სიგრძის მაღალი წნევის გაზსადენის გაყვანაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ცისფერი ალი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის 9.11 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (5 კილომეტრზე მეტი სიგრძის მილსადენის გაყვანა ნავთობის, გაზის ან ნახშირბადის დიოქსიდის CO_2 ტრანსპორტირების მიზნით) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაბა ლენტეხის, ქალაქ ცაგერის და მესტიის მუნიციპალიტეტის გაზმომარაგების მიზნით, შპს „ცისფერი ალი“-ის მიერ, ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, ქალაქი ცაგერიდან დაბა ლენტეხამდე, დაგეგმილია დაახლოებით 21,2 კილომეტრი სიგრძისა და 300 მილიმეტრი დიამეტრის მაღალი წნევის მილსადენის გაყვანა, რომელიც განკუთვნილი იქნება გაზის ტრანსპორტირებისთვის. დაგეგმილი საქმიანობა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება. საპროექტო გაზსადენის საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატებია: X-317315.89 Y-4723620.63; X-313374.08 Y-4739695.46.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო გაზსადენის დერეფანი დაიწყება ქალაქ ცაგერის დასახლებული პუნქტიდან, რამდენიმე წერტილში გადაკვეთს მდინარეებს, ღელეებს და არხებს, გაივლის ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ და დაბა ლენტეხში დასრულდება. საპროექტო გაზსადენის ძირითადი ნაწილი მიწის ქვეშ იქნება გაყვანილი, ხოლო მდინარეების, ღელეების და არხების გადაკვეთებზე მიწის ზევით გაივლის. საპროექტო გაზსადენის დერეფანი ნაწილობრივ ხვდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში, ასევე კვეთს რცხმელურის მადნიანი ველის (ტყვია, თუთია) და პოლიმეტალურ გამადნებებზე პერსპექტიული ტერიტორიის კონტურს. გარდა ამისა, საპროექტო გაზსადენის დერეფანი გადაკვეთს სხვადასხვა საკომუნიკაციო ქსელებს და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ს, რაც შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე განხორციელდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო გაზსადენის მიწისქვეშა მონაკვეთის გასაყვანად მოეწყობა ტრანშეა, რისთვისაც მოიხსნება გრუნტისა და ასფალტის საფარი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, რიგ უბნებზე – ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. მოხსნილი ასფალტის საფარი აღდგენას დაექვემდებარება, ექსკავირებული გრუნტის ძირითადი ნაწილი უკუყრისთვის იქნება გამოყენებული, ხოლო მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით განხორციელდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო გაზსადენის გაყვანისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა დაახლოებით 24 თვეს შეადგენს. აღნიშნულ სამუშაოებში გამოყენებული იქნება შემდეგი ტექნიკა-დანადგარები: 8 თვითმცლელი, 6 ექსკავატორი, 6 ავტოამწე, 6 ბობკატი, 4 მილმზიდი, 4 კომპრესორი, 4 ვიბრაციული სატკეპნი, 4 ელექტროშედუღების აპარატი, 4 მოძრავი ელ. სადგური (საკი), 4 კომპლექტი პნევმატიკური ინსტრუმენტი, 2 ავტოგრეიდერი, 1 ავტოგენური შედუღების აპარატი. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საფუძველზე, სამშენებლო მოედნისთვის გამოიყოფა შესაბამისი ტერიტორია, სადაც სამშენებლო ავტოტრანსპორტი და ბიოტუალეტი განთავსდება. სამშენებლო მასალა და მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკური ელემენტები ტერიტორიაზე ადგილობრივი მომწოდებლებისაგან შევა და ადგილზე მათი წარმოება არ მოხდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო გაზსადენის გაყვანისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ტექნიკა-დანადგარები. ვინაიდან საპროექტო გაზსადენი ხაზობრივ ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო სამშენებლო სამუშაოებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების მობილური წყაროები იქნება გამოყენებული, დამაბინძურებელი ნივთიერებები და ხმაური ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის მთელ სიგრძეზე შესაძლებელია გავრცელდეს, რაც წერტილოვანი ზემოქმედების ეფექტს შეამცირებს. თითოეულ დასახლებულ პუნქტში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოები პერიოდული იქნება და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის წარმომქმნელი წყაროები მხოლოდ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში დაგეგმილი მონაკვეთის მოწყობის პერიოდში იმუშავებს, რაც მთლიანი საპროექტო გაზსადენის გაყვანისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების საერთო პერიოდზე ნაკლებია. ამასთან, სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ტექნიკის გამართულობა და გადაადგილების სიჩქარეები მუდმივად გაკონტროლდება, ხოლო სამშენებლო სამუშაოები მხოლოდ დღის საათებში შესრულდება. რაც შეეხება საპროექტო გაზსადენის ექსპლუატაციას, აღნიშნულ ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო გაზსადენის დერეფანში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. კვლევის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე გაყვანილი იქნა 2 მეტრი სიღრმის 56 გეოლოგიური შურფი. გაყვანილ შურფებში გრუნტის წყლები არ გამოვლენილა. აღსანიშნავია, რომ საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით საპროექტო ტერიტორია III (რთული) კატეგორიას მიეკუთვნება. დოკუმენტის მიხედვით, გაზსადენის მშენებლობის პროცესში დაცული იქნება სამშენებლო ნორმები და გეოლოგიური კვლევით განსაზღვრული რეკომენდაციები, ხოლო რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო გაზსადენი გადაკვეთს მდინარეებს, ღელეებს და არხებს, გადაკვეთისას და ასევე აღნიშნული ობიექტების სიახლოვეს გატარებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს წყლის მაქსიმალური ხარჯი, მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონე და კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი და მაქსიმალური გარეცხვის სიდიდე, ასევე წყალდაცვითი ზოლი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს ძირითადად მოსალოდნელია არასახიფათო (შერეული მუნიციპალური ნარჩენები) და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, ხოლო შემდგომი მართვა „ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო გაზსადენის დერეფანი დაცული ტერიტორიების სიახლოვეს არ მდებარეობს. ამასთან, ვინაიდან რიგ მონაკვეთებში საპროექტო გაზსადენის დერეფანი სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე გაივლის, სკრინინგის გაცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება გაეგზავნა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp ფაილებით წარმოდგენილი ხაზობრივი ნაგებობის 21462 გრძივი მეტიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 551 გრძივი მეტრი სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიას წარმოადგენს (ცაგერის სატყეო უბნის ცაგერის სატყეო, კვარტალი №35; ლენტეხის სატყეო უბნის ხოფურის სატყეო, კვარტალი №29; ლენტეხის სატყეო, კვარტალი №86). ამასთან, ხაზობრივი ნაგებობის 551 გრძივი მეტრი ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან (ს/კ: 89.03.26.174; 89.03.26.173; 87.02.21.448; 87.04.21.365; 87.04.21.363; 87.04.21.364), რომლებზეც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ტყითსარგებლობის უფლება არ ფიქსირდება. შესაბამისად, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებას საჭიროებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო გაზსადენის დერეფანი გაივლის ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიებზე, კერძოდ, დასახლებული პუნქტებისა და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მიმდებარედ, სადაც ბიომრავალფეროვნების სენსიტიური სახეობები და ცხოველთა საბინადრო ადგილები არ გვხვდება. ამასთან, ვინაიდან ზედაპირული წყლის ობიექტების გადაკვეთა მოხდება მიწისზედა ტექნიკური გადაწყვეტით, ხოლო ხე-მცენარეების ჭრას ადგილი არ ექნება, დაგეგმილი საქმიანობა ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ვინაიდან სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო გაზსადენის დერეფანი ნაწილობრივ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ვიზუალური დაცვის არეალში, სკრინინგის გაცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება გაეგზავნა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. საპასუხო კორესპონდენციის მიხედვით, საქმიანობის განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაზე

თანდართული სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 29 ივლისის №17/2458 წერილში მითითებული პირობები.

გარდა ამისა, ვინაიდან მონაცემთა გადამოწმებით საპროექტო ტერიტორია რცხმელურის მადნიანი ველის (ტყვია, თუთია) და პოლიმეტალურ გამადნებებზე პერსპექტიული ტერიტორიის კონტურს კვეთს, სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სკრინინგის განცხადება გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი საქმიანობა განხორციელდეს იმგვარად, რომ მომავალში მიმდებარე ტერიტორიებზე არ შეიზღუდოს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ანალოგიური სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს და კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ცაგერის და ლენტეხის მუნიციპალიტეტების მერიებში, საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული საქმიანობა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და II დანართის 9.11 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში შპს „ცისფერი ალი“-ს დაახლოებით 21,2 კილომეტრი სიგრძის მაღალი წნევის გაზსადენის გაყვანა **არ დაექვემდებაროს** გზშ-ს;
2. შპს „ცისფერი ალი“ ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ცისფერი ალი“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ცისფერი ალი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/744-21-4-202512031412

ელექტრონული ხელმოწერა/ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED